საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2063-03
19/11/2024

2024-2025 სასწავლო წლისათვის „ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის“ სტუდენტებისათვის სასწავლო ჯილდოს დაწესებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, მე-19 მუხლის 1-ლი და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის, ნინო მატარაძის 2024 წლის 13 ნოემბრის N20240-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებთ

1. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისათვის დაწესდეს სასწავლო ჯილდო „ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის“ სტუდენტებისათვის, რაც გულისხმობს სტუდენტთათვის სწავლების სემესტრული საფასურის სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სასწავლო ჯილდო დაწესდეს იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

ა) სწავლობენ ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამაზე;
ბ) არ იღებენ სრულ სასწავლო გრანტს ან რაიმე სხვა სახის სწავლის სრულ დაფინანსებას;
გ) აქვთ აქტიური სტუდენტის სტატუსი და საანგარიშე სემესტრში თითოეულ გავლილ საგანში მათი შეფასება შეადგენს არანაკლებ 85 ქულას;
დ) მიღებული აქვთ სემესტრში მინიმუმ 30 კრედიტი;
ე) არიან სწავლების პირველ ან მეორე სემესტრში, დამატებით სემესტრში მყოფი სტუდენტი დაფინანსებაში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

3. დაფინანსება მოხდეს 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრის დასრულებისას, შესაბამის სემესტრში პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების საფუძველზე შედგენილი რეიტინგის მიხედვით.
4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრის ბოლოს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის სტუდენტთა რეიტინგული სიის წარმოდგენა ამ ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

5. ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების მეოთხე პუნქტის საფუძველზე სტუდენტთა სწავლის დაფინანსების შესახებ სამართლებრივი აქტის მომზადება, გარე დაფინანსების მომლოდინე სტუდენტების სწავლის დაფინანსების შესახებ ინფორმაციის დადასტურების (ყველა შესაძლო დამფინანსებლისგან შესაბამისი სიების მიღების) შემდგომ.

6. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელ ფეისბუქზე განთავსება.

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების ატვირთვა უნივერსიტეტის ელექტრონულ პროგრამა „კოდექსში“ და დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, იურიდიულ სამსახურს, რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი

ქეთევან დარახველიძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE